

გამოცემის 51-ე წელი, № 1437. ოქტომბერი, 1974. ფასი 20 კაპიკი.

ნახ. ლ. პრინტაპიძე

— რატომ ვხვდებით ახე დიდი აგბით?  
— მე აჰ ქველ ინტრიგანალ მიცნობენ!



სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1974 წლის 27 სექტემბრის ბრძანებულებით საბჭოთა ლიტერატურის განვითარებაში დიდი დამსახურებისათვის, აქტიური საზოგადოებრივი მოღვაწეობისათვის და სსრ კავშირის მწერალთა კავშირის შექმნის 40 წლისთავთან დაკავშირებით საქართველოს მწერალთა კავშირის გამგეობის თავმჯდომარეს, საბჭოთა კავშირის მწერალთა კავშირის მდივანს, სახელმწიფო პრემიის ლაურეატს, სსრკ უმაღლესი საბჭოს დეპუტატს — ბრიგოლ გრიგოლის ძე აბაშიძეს სოციალისტური შრომის გმირის წოდება მიენიჭა.

ბრიგოლ გრიგოლი

ბრიგოლ გრიგოლი



ბრიგოლის დავალებით — ჯაშუკ ბოლქვაძე

**ბრიგოლი — სოციალისტური შრომის გმირ ბრიგოლ აბაშიძეს**

სამოცი წლის იუბილე მოგილოცე ამას წინათ!  
 დღეს გილოცავ მაღალ ჯილდოს, — მზესავით რომ აგაბრწყინა!  
 ძღვევის ქედზე უძღვევლად დგახარ!.. ომი ვინ მოგიგოს?!  
 სახელს გიცვლი, აბაშიძე! — სიყვარულით გარქმევ ბრიგოლს!

**შ ა შ ი ს ა ზ ე ბ ი**

აფხაზეთში, რომლის სიმშვენიერით ზოგი ამდერებულა და ზოგიც დამუნჯებულა, არსებობს ტრესტი №8 თავისი სამშენებლო სამმართველოებით, მესვეურებით, მრეველითა და დევიზით: „შენება და ისევ შენება“, მაგრამ მშენებლობის ისტორიაში არ არის ერთი ფაქტიც, როდესაც სახლი აშენებულა იყოს კალატოზის, დურგლის, მეთუნუქის ან თუნდაც დამხმარე მუშის გარეშე. იცოდნენ რა ეს უდავო ჭეშმარიტება, ტრესტის მესვეურებმა 1970 წელს გაზეთ „სოვეტსკაია აბხაზიაში“ გამოაქვეყნეს საგალობელით სასიამოვნოდ მოსასმენი განცხადება: მორით ჩვენთან, იმუშავებ და წლისთავზე ბინებს მიიღებთ, წინასწარ პირობას მოგცემთ, ხელშეკრულებას დავიდებთ, ბეჭდით დავიდასტურებთ და ხელსაც მოვაწერთო.

უბრალო კაცისათვის უკეთესი წინადადება შეიძლება არსებობდეს? ერთ წელიწადს დაიკაპიწე მკლავები და ბინა მზადაა. თანაც პირობას გაძლევს სახელმწიფოს დაქვემდებარებული ორგანიზაცია, ნამდვილ, შემოწმებულ პირობას და არა „დაპკა ხელი!“-ს პრიმიტიული პრინციპით, რომელიც მხოლოდ და მხოლოდ ნდობასა და სინდისზეა დამყარებული.

პირი ქვისკენ გვიქნია, მაგრამ უპირო ადამიანები, სამწუხაროდ, ჯერ კიდევ არ გამხდარან თითებზე ჩამოსათვლელები, მაგრამ არსებობენ თუ არა უპირო ორგანიზაციები?

იმ ბედნიერ ღამეს, ოცნებაში დაათენდა ვ. ავალიანს და ალიონზე №8 ტრესტისაკენ „გაფრინდა“.

შრომითი ხელშეკრულება პედანტური სიზუსტით გაფორმდა და ავალიანმა მეხუთე სამშენებლო სამმართველოში მეთუნუქეთ დაიწყო მუშაობა.

ყოველი დღის გასვლას ვ. ავალიანი და მისი მეუღლე ი. გულარია ნაჭირავები ოთახის კედლებზე ნახშირის ხაზებით აღნიშნავდნენ.

კედლებს ნახშირის ხაზები ემატებოდა, ვ. ავალიანი მეთუნუქეობდა, მეექვსე ტრესტის ხელმძღვანელები კი ინკოგნიტო ფავორის უზარმაზარ ჩრდილქვეშ სრული კარტ-ბლანშით სარგებლობდნენ. ასე გრძელდებოდა დიდხანს, და აი, 1972 წლის დეკემბერში ჩვენმა აფხაზმა თანამოკალმეებმა მეექვსე ტრესტის მესვეურები ჩრდილიდან გამოგვეყვანა და გაზეთ „აფხაზის“ მკვლევარე პლაჟზე გააშავეს. მოხდა ტრანსფუზია, თუმცა არა სრული, რადგან ზოგიერთი იმდროინდელი ხელმძღვანელები დღესაც მშვენიერად გრძნობენ თავს მეექვსე ტრესტში. აი, ერთ-ერთი მაგალითი: ს. კაპბა, რომელსაც არასოდეს არ ემუშავა მშენებლობის სისტემაში „მოიწვიეს“ ტყვარჩელიდან და მეორე სამშენებლო სამმართველოში კადრების განყოფილების გამგეობა უბოძეს, თან პარტიურის მდივანდაც აირჩიეს.

— ხელი ხელს ბანს, — გააცნო თავისი ლოზუნგი ს. კაპბამ მეოთხე სამშენებლო სამმართველოს უფროსს ვ. წულაიას.

— ორივე კი პირსაო, — გამოუცხადა სოლიდარობა ვ. წულაიამ. ეს იყო და ეს, კადრების ბუნაგად ტყვარჩელი იქნა არჩეული.

მთავარი ბუღალტრის პოსტი საზოგადოებრივი საკუთრების ხელყოფისათვის მრავალჯერის ნასამართლევ ტყვარჩელელ ე. მელიას ჩააბარეს. მორალედ ტყვარჩელელი ლ. ხოკერბახაშვი დაინიშნეს, ტრესტის მთავარი ბუღალტერი ბერუჩვიც ხომ ოდესღაც ტყვარჩელში მუშაობდა!


ვინ იყო სპირიტუზმის თაყვანისმცემელი მეექვსე ტრესტში, ძნელი გამოსაცნობი არ იქნება, თუკი ვიტყვით, რომ „მკვდარი სულელები“ კი ტყვარჩელიდან იქნენ მოწვეულები. აი, თავისი კუთხე-კუჩქულის ჭეშმარიტი პატრიოტიზმი!

ტყვარჩელის №1 უნივერსიტეტის დირექტორი ა. ფაჩლია ჯერ ბუღალტრად გააფორმეს მეოთხე სამმართველოს ბუღალტერიაში და ამავე დროს ბინის მიღების კანდიდატა სიაში მისი გვარი მსხვილი ასოებით აღნიშნეს. აბა, მართლაც და, ვის მოაგონდებოდა ამ დროს ავალიანი? როდესაც ბუღალტრის შტატი გაუქმდა, ფაჩლია მეხეტონედ გადაკვალიფიცირდა და გამომუშავების დონეც 225 მანეთამდე ავიდა. ამ „გროშების“ მისაღებად, რა თქმა უნდა, ფაჩლია თავს არ იწუხებდა (ეგლა აკლდა უნივერსიტეტის დირექტორს), მაგრამ სად მიდიოდა ფაჩლიაზე და კიდევ სხვა „მკვდარ სულელებზე“ გამოწერილი თანხა, ჯერჯერობით ამომხსნელს ელოდება. და განა მართო „მკვდარი სულელები“? ტრესტში ფეიერვერკად სჩქეფდა დანაშაულთა მრავალსახეობა: სამშენებლო მასალების შითვისება, საფინანსო დისციპლინის დარღვევა, ფონდების აუთვისებლობა, გადახარჯვა და სხვადასხვა.

ამჟამად?

კაპბა სამმართველოს სამშენკომის თავმჯდომარეა, სამმართველოს უფროსი წულაია ინდუსტრიულ ტექნიკუში პედაგოგობს, სამმართველოს მთავარი ინჟინერი ვ. კოვე ახლაც მთავარი ინჟინერია. ვ. ავალიანი ამჟამადც მეთუნუქეა და უკვე გულგატეხილი ისევ ნახშირით ხაზავს ოთახის კედლებს, ჭიუტად ელოდება პირობის შესრულებას და ხელშეკრულების დედანს სათუთად ინახავს.

გუშინ არ ეცალათ, დღეს მოიგონეს, იქნებ ხვალ მაინც შესრულონ დანაპირები?!



— იცოდა, სანამ ლივტს არ ააფუჭებდნენ, აფუჭს არ გაბატანდნენ.



— გამარჯობა, გიორგი, ვერ გიცანი?  
— გიცანი, როგორ არ გიცანი! შარშან ამ დროს ამ არ იყავი?

# ჩემი 1980 წელი

გუშინ ჩემს მეგობარს მივაკითხე. მის ოთხი წლის ბიჭს შივეუტანე ზღაპრების წიგნი „კომბლე“.

ბიჭი მარტოდმარტო იყო შინ, როდესაც იჯდა და უკრავდა.

— გამარჯობა, ბიჭუნა! იცი რა მოგიტანე? „კომბლე“. წაგიკითხო?

ბიჭმა ამოიხვნეშა:

— გასართობად მოგეტანა სტენდალი, ჰემინგუეი, ბოკაჩიო, ფიშერის საქადრაკო პარტიების წიგნი, ან რამე საინტერესო, თერმოატომურ საფუძვლებზე და კოსმოსურ ბალისტიკურ რაკეტებზე.

— რომელ რაკეტებზე?

— ვითომც არ იცი? „ატლასი“, „პალასი“, „ტიტანი“, „მინიტენი“, „ვალანტი“, „ვეულკანი“... ცოტაა?

— მაშ „კომბლე“ არ გინდა?!

— ეგ რაღაა? ოპერატიული დანიშნულების რადიომზვერავი იქნება.

— არა... „კომბლე“ ზღაპარია.

— რატომ ჰქვია კომბლე?

— იმიტომ, რომ კომბლებს თლიდა და ჰერში აწყობდა.

— რატომ აწყობდა ჰერში?

— აბა, რა ვიცი! აქ ეგრე სწერია.

— ეგ კომბლე კი არაა, ეგ იქნება ვერტმფრენი „სუპერ-კომბლე“, „აირ-კობრა“, 7 ატომურ-რეაქტიული გამანადგურებელი.

— კარგი. მაშინ „ხუთკუნულას“ მოგიყვები, ან „წიქარას“...

— ძია, „ლოკჰიდები“, „კარაველები“, „ბონგები“ ან „მარტინები“ გაგივია?

— არა.

მე ჩავახველე და როდესაც დადებული წიგნი ავიღე.

— რა წიგნია?

— ფრენკ ნორისის „სოციალური ეპოპეა“.

— წელან რას უკრავდი, ჩემო კარგო?

— № 3 უვერტიურას ვიმეორებდი. ბეთჰოვენის „ლეონორადან“... აბა, ეს რა მუსიკაა?

მან რაღაც შესანიშნავი შელოდია ააქვდრა როდესაც.

— აბა, როგორ გითხრა, აღარ მახსოვს. პროკოფიევი?

— ეჰ, ძია მართლა კომბლე ხარ. შოსტაკოვიჩია.

— მაშ, კარგი, ჩემო ბიჭუნა! რადგან უფრო საინტერესო ამბავი გინდა, მოგიყვები, ადამიანები როგორ ავიდნენ მთვარეზე.

— უუუუუ, ეგ წვერებიანი ზღაპრები ბებიას მოუყევი. მე სულ სხვა წიგნები მინდა.


— რა წიგნები?

— „ბიკვადრატული განტოლებების“ კრებული, „კვანტური თეორიის საფუძვლები“, ბრადისის „ოთხნიშნა მათემატიკური ცხრილი“ და „ინგლისური ენის ლექსიკოგრაფია“.

— რად გინდა, ჩემო კარგო?

— ნოლ ჯგუფში შესასვლელად ვემზადები.

მარტლოს. პასრამძე







# მხარული შენიღბული



ცნობილ ქართველ პათოლოგოანატომს — აკადემიკოს ირაკლი ბატიშვილს თავისი ხანგრძლივი სამეცნიერო-პედაგოგიური მოღვაწეობის გზაზე ანატომიურის გარდა, თურმე სხვა ცხოვრებისეული პათოლოგიებიც შეუმჩნევია, რომელიც მართო მედიცინის ფარგლებში ვერ ეტევა და სატირულ-იუმორისტულ ჟანრში გადადის.

„ნიანგი“ თვლის, რომ ბევრისმხანველი ექიმის ეს სატირულ-იუმორისტული დაკვირვებანი ჩვენი მკითხველისთვის ინტერესმოკლებული არ უნდა იყოს...

## უროვა ალაფავას ალაშიანს

— გეთაყვა, — მიმართა კაბინეტში შემოსულ ასისტენტს პროფესორმა, — სვალ დილით ათ საათზე ჯანმრთელობის დაცვის განყოფილებაში ნახევარსაათიანი მოხსენება უნდა წავიკითხო... არ დაგვიწყდეთ — ნახევარსაათიანი.

ასისტენტი მიხვდა, რასაც თხოვდა პროფესორი.

— ბატონი ბრძანდებით. დღესვე დავეწერ. — თქვა მან.

— ჯანდაცვის განყოფილებიდან რომ გამოვალ, — განაგრძო პროფესორმა, — სამეცნიერო კონფერენციას უნდა დავესწრო. თხუთმეტწუთიანი სიტყვა დამჭირდება.

— ბატონი ბრძანდებით. — თქვა ასისტენტმა.

— სამ საათზე სამეცნიერო საბჭოზე რევმატიზმზე მომიწევს ლაპარაკი. ასე, ხუთწუთიანი რეფერატი დამჭირდება.

— რა გავწყობა, — ჰოივს მოითქვა სული ასისტენტმა, — ბატონი ბრძანდებით.

— ახლა ისიც იკითხეთ, რა ვუყოთ გრი-

პის ეპიდემიას? ამ საკითხზე თითქმის ყველა ჩემმა კოლეგამ გამოაქვეყნა სტატია. სვალ დილით რედაქციას ასე, ოთხ-ხუთვერდიანი წერილი უნდა ჩავაბარო. უკვე შეთანხმებული ვართ და ხომ არ დავალატებ?

— ბატონი ბრძანდებით. — ამოღერდა ასისტენტმა და კარებისკენ გაემართა.

— ჰო, მართლა! — კარებთან დაეწია პროფესორის სმა, — კინაღამ დამავიწყდა, სვალ, შუადღისთვის ასპირანტი მოგვაკითხავს. აგერ მისი შრომა. გაეყანით და პასუხიც გაეცით.

— ბატონი ბრძანდებით! — ბოლმისაგან გული ამოვარდნაზე ჰქონდა ასისტენტს.

— შინ წასვლისას, გზაზე, ერთი-ორი ნათურა მიყიდეთ. სამუშაო კაბინეტში ნათურა გადამეწვა და თავს ისე ვგრძნობ, თითქოს მეც გამოთიშული ვარ.

— დღეს მაინც დაისვენეთ, ბატონო პროფესორო, — შემპარავად უთხრა ასისტენტმა, — არ შეიძლება ამდენი მუშაობა...

— როგორ გეკადრებათ! — შეაწყვეტინა პროფესორმა, — რა დროს დასვენებაა შრომამ შექმნა ადამიანი, იგი სიცოცხლეს

უსანგრძლივებს, ალამაზებს და აკეთილშობილებს ყველას.

— ჩემს გარდა! — თქვა ასისტენტმა... კაბინეტიდან გამოსვლის შემდეგ.

## ახლას არ დაიჯერებენ!

ეს უკვე მერამდენედ, ერთმა გრაფომანმა პროფესორმა სახელმძღვანელო შეადგინა მომავალი ექიმებისათვის და სამეცნიერო საბჭოს წარუდგინა.

— არ ვარგა! — იყო ერთსულოვანი დასკვნა.

— გშურთ, ნიჭს ახშობთ, ნათელ აზრს გასაქანს არ აძლევთ! — გაიძახოდა პროფესორი.

ერთხელ იგი მატარებლით სადღაც მიემგზავრებოდა. ჩემოდანში სხვა საჭირო ნივთებთან ერთად თავისი სახელმძღვანელოს რამდენიმე ეგზემპლარიც ედო. რომელიღაც სადგურზე ჩემოდანი მოჰპარეს.

— აჰა, ახლა ხომ დაიჯერებენ, რომ ჩემი წიგნი მეტად საჭირო და აუცილებელია! — გაიძახოდა ჩემოდნის დაკარგვით გახარებული პროფესორი, — ცუდი რომ იყოს, მომპარავდნენ განა?!

## მინიატურები

— როდისღა მუშაობ, მუდამ ქუჩაში რომ მხვდები? — ეკითხება გაჯავრებული უფროსი თავის თანამშრომელს.

— მეც ვე მინდოდა მეკითხა თქვენთვის, სავარამ ვერ გიბედავდით. — უპასუხა თანამშრომელმა.

— კადრები აღარა გვყავს. განყოფილების უფროსად ვერავინ დამინიშნია. — შესჩივლა დირექტორმა მოადგილეს.

— კადრების მეტი რაა, მაგრამ პროტექტორები ვეღარ რეკავენ, ბატონო. — მიუგო მოადგილემ.

თამაზ მამალაძე

## სერაჟი

### წყალში აჩრდისაყჩაღი აზრები

● სამჯერ აწონე და ერთხელ გაახვიე.

● თვეობით იჯდა პატიოსანი კაცის ჩრდილში.

● დიდი ქვეშ-ქვეშა ვინმეა ეს იმპორტული საქონელი.

● შეეძლო არაფრის გამო აურზაური არ აეტეხა.

● სიბრაზისაგან რომ იხრჩობოდე, ღიმილს არ მოგაწვდის.

● ნაცნობ ფოტოგრაფს ავტორიტეტის გადიდება შეუკვეთა.

● კარგი გამყიდველის ხელში სინდისი მართლაც კარგი საქონელია.

## კომბინატორის სიმღერა

(ღრუტუნის მოტივზე)

ამ ცხოვრებას უნდა მიჰყვე ცხვრის ქურჭით და მგელის გეშით,

კაცი უნდა ხერხი იყოს ყველასთან და ყველაფერში.

თუ ცოცხალმა არ ავიდე, ვინ რას მომცემს ხამარში.

რაც შეჭამა, იმის მეტი, აბა, ჰვეყნად ვის რა შერჩა!

სინდისიო? — ახლა მეტყვიო, ეს! — მოგცლიათ ერთი თქვენცა!

მგელს და ბატანს, ავს თუ კეთილს, ბოლოს ყველას მიწა შეჭამს.

რაც ამ ჰვეყნად ვეღარ ნახა, საფლავეში ვის უპოვია,

სიცოცხლეა ერთი წამი გულს ხომ ერთხელ უთრთოლია,

ამ ჰვეყნიდან მე თუ წავალ, შემდეგ თუნდ ჰქა უთოვია.

ზაზა კაციანავილი

ნოდარ ჯალაღონია




7-1974 1936

ნ. ჯ. ლომუხი და ნ. მაღაზონიანი

19-672

სტრუქტურა 76137



1956



სტუდენტების უცვლელი ხედი

1974

